

# საპრესიელი

ქვეყნის  
ნიუსი

საორტული გაზეთი

პარასკევი 30 იანვარი 2004 №19 (2038)


ფასი 50 თეთრი

დღეს კიევში ჩვენი ჯგუფის კალენდარი შედგება... ან არ შედგება. საქმე, შესაძლოა, კენჭისყრამდეც მივიდეს, ანუ მეტოქენი „ბერგერის ვარიანტმა“ დაანწყვილ-დაათარილოს. შესაძლოა კი არა, ალბათ, ასეც იქნება. ყაზახეთი რომ სათვალავში არ ჩავაგდოთ, რომელსაც კიევურ შეხვედრაზე სხვაზე ნაკლები სიტყვა ეთქმის და კენჭისყრის მომხრეა, მოსალოდნელია, თურქ-ბერძნების ისტორიული შუღლი სასტუმრო „ნაციონალის“ საკონფერენციო დარბაზში გაგრძელდეს. ყოველ შემთხვევაში, საქმე იქითკენ მიდის, რაც კალენდრის ორი ნინასწარი ვარიანტის მექონე მასპინძლებს სულაც არ ახარებთ. მათ ის უჯობთ, მოლაპარაკება შედეგიანად დასრულდეს და სანამ სავახშმო მაგიდას მიუსხდებიან, თავიანთი თქვან: პირველ ტურში ბერძნებს მივიღებთ, მერე კი, სექტემბერში, თბილისში ჩავალთ...

და ვიდრე თურქეთი და საბერძნეთი გასაყოფს გაიყოფს, ან ვერ გაიყოფს, ჩვენი „ძმადნაფიცი“ ალბანეთი თავისაზე ფიქრობს, მათ მწვრთნელს ჰანს პეტერ ბრიგელს კი ისიც სცოდნია, საქართველოს როდის და როგორ მოუგოს.

მოკლედ, დღეს კიევში კაი რია-რიაა მოსალოდნელი, სადაც საქართველო ობლადაა წარდგენილი, ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩოლარიას იმედად.

## კიევში ეუინიათ ხათანხება, ხანჯისყრა თუ ქვების სროლა?




ჰანს პეტერ ბრიგელმა იცის, როდის მოუგოს საქართველოს, შენოლ გიუნეში კი კიევში რიხიანად ჩავიდა




ბადრი კითხვას ფოტო

## საფინანსო ამერიკა წაიფინა



მარატ საფინი



ანდრე აგასი

REUTERS მედიაფორნიდან

რუსულ ქრონოსომებში გამყვადარი ამერიკული სიტუაციული ეგებ არაფერ შუაში იყოს. უბრალოდ, მარატ საფინს „ავსტრალიან ოუფენის“ ბაღმ თითქმის ყველა ეტაპზე ამერიკელი შეასვედრა და ოკლაჰმა რუსმაც ერთიმეორის მიყოლებით დაიფინა ყველა. ნახევარფინალურ თრილერში, რუსულად კი ბოუვიკში, მარატმა ანდრე აგასისაც დასცა რუსული ბომბი და მეზუთე ამერიკელის გავლით ფინანსს მიაყენა ქვეყნის. იქ მისი ჭურვების მიღება როჯერ ფედერერს ან სუან კარლოს ფერეროს მოუხდებოდა. არცერთია ამერიკელი, ამდენად, მოდით, შედეგის გამოცნობაზე თავს ნუ ავიტყვივებთ.

ქალთა ნახევარფინალურში კი ყველაფერი კეგმაზომიერი დასასრულისკენ მიდის. უუილიამსებო საროგნეთში ბელგიელი ჟუსტინ ენენი და კიმ კლაისტერსი „ყვეფენ“ და ბოლო წელიწადში მესამე ბელგიურ სლოფინანოსაც ჩაათამაშებენ. ფავორიტი ისევ ენენია, მით უმეტეს, რომ კიმი კოჰს იტყვივებს. თუმცა ენენი ცდილობს, გათავისუფლდეს ფავორიტობის თანხლები უსარგებლო ფსიქოლოგიისგან და თანამემამულეს ვერბალურ რევერანსებს უკეთებს.



კიმ კლაისტერსი

# კიევი აზიის კონსერვატიული ქვეყნების სროლა დაიწყო

**ჩვენთვის სულ ერთია, რა ვარიანტები აქვთ მეტოქეებს, კიევი თურქეთისთვის სასურველი კალენდარი უნდა შედგეს და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება – გუშინ დილით კიევი ჩასული თურქეთის ნაკრების მწვრთნელის შერონ გიუნეშის ასეთმა ქედმაღლურმა განცხადებამ ჩვენი უკრაინელი კოლეგები ისე გააოცა, რომ თურქეთს საუბრის გარეშე კი ალბანულად იცხადებდა**




ფიცხელ შერონ გიუნეშს კიევი ცივად დახვდა

## ბრიგადა ისის, როდის დაამარცხოს საქართველო

**ჩვენთვის კარგად ნაცნობი ალბანეთის ნაკრები და მისი გერმანელი თავკაცი ჰანს პეტერ ბრიგელი სულაც არ აპირებენ სტატიტის როლში ყოფნას. თუ გერმანელმა თავისი პრინციპული პოზიცია ბოლომდე გაიტანა, ჯგუფის კალენდარი შეიძლება ფიფას შესადგენიც გახდეს**

— პერ ჰანს, საქართველოდან გაწუხებთ, არსებობს აზრი, რომ მეორე ჯგუფი თანაბარადლოვანი ნაკრებებითაა დაკომპლექტებული და გასვლის შანსი ყველას ექნება... — ჯგუფში მართლაც არაა გამოკვეთილი გრანდი და ლიდერი, მაგრამ მისი სირთულე სწორედ თანაბარადლოვანი ნაკრებების სიმრავლეა. აქ ყველა ნაკრებს შეუძლია აბსოლუტურად დაუგეგმავი ქულები დაკარგოს. — ამ დროს დიდი როლი ენიჭება კალენდრის შედგენას. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასე ფიქრობენ. თქვენ წარადგენთ კალენდრის თქვენეულ ვარიანტს? — ისეთი ნაკრებებისთვის, როგორიც საქართველო და ალბანეთია, სასურველი კალენდრის შედგენა მნიშვნელოვანი საქმეა. ბუნებრივია, ალბანეთი საკუთარი ვარიანტის გატანას ეცდება. ნურავინ იფიქრებს, რომ ალბანეთი უამბიციო ნაკრებია და ნებისმიერ ვარიანტს ხელს მოვაწერთ. მგონი, ჩვენ წინა შესარჩევ ეტაპზე დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთის თამაში შეგვიძლია. თუ საკუთარ ვარიანტს ან მასთან მიახლოებულ შეჯერებულ კალენდარს ვერ გავიგნით, მაშინ სხვას მხარს არ დავუჭერთ. ვფიქრობ, ასევე უნდა მოიქცეს თქვენი დელეგაციაც. — ბერგერის ვარიანტზე რა აზრის ბრძანდებით? — სხვების თავსმოხვეულ ვარიანტს ისევე ბერგერისეული სჯობს. — სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებთა მთავარი მწვრთნელები იწუნებენ ეგრეთ წოდებულ გადაბმულ მატჩებს, მაგალითად, ზედიზედ ორ თამაშს გასვლაზე. — ეს ვარიანტი განსაკუთრებით არასასურველია ციკლის პირველ და უკანასკნელ მატჩებში. ასეთ გადაწყვეტილებას მხარს არც ჩვენ დავუჭერთ. ხომ გითხარით, ეს ის ჯგუფია, რომელიც ქულებს ნებისმიერი ნაკრები დაკარგავს. ამიტომაც ყველა ნაკრების წარმომადგენელმა უნდა იზრუნოს სასურველი კალენდრის დამტკიცებაზე. დამატებითი კოზირების საკუთარი ხელით მოსპობა სიგიჟე იქნებოდა. — აზრთა სხვადასხვაობა პირველ მეტოქესთან დაკავშირებით. თქვენ ვის ისურვებდით პირველ მეტოქედ? — იმ ნაკრებს, რომელიც ევროპის ჩემპიონატიდან ახალი ჩამოსული იქნება, ასეთები კი საბერძნეთი და დანია არიან. ამ დროს

შენონ გიუნეში კიევის მეტოქეთაგან პირველი ეწვია, თან ხუთკაციანი დელეგაცია უმაგრებდა ზურგს. თურქებს ბერძნები მიჰყვნენ მწვრთნელ ოტო რეპაგელის მეთაურობით, მერე კიევი ვალერი ჩოლარია ჩავიდა, დანიელი მორტენ ოლსენიც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან ერთად, ალბანელებსა და ყაზახებს კი უამინდობის გამო რამდენიმე საათი შეაგვიანდათ. უკლებლივ ყველა სტუმარი სასტუმრო „ნაციონალიზმი“ დაბინავდა, სადაც დღეს 10 საათზე შეიკრიბებიან და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდარზე შეთანხმებას ეცდებიან. შეთანხმებასო, ვთქვით და, უკრაინულ მასშედიას უკვე ეეჭვება, რომ მეტოქეებმა საერთო ენა გამონახონ და საქმე კენჭისყრამდე ანუ „ბერგერის ვარიანტამდე“ არ მივიდეს. თუმცა, რაღა ეეჭვებოდა ლაპარაკი, როცა კიევი ჩასულ ყაზახთა მწვრთნელს ლეონიდ პანოშოვს პირდაპირ უთქვამს, ჩვენ ყველაზე უმწეონი ვართ, ჩვენს ინტერესებს მინც არავინ გაითვალისწინებს და ამიტომაც მოლაპარაკების დაწყებისთანავე კენჭისყრას მოვითხოვთ. ისე, კალენდრის კენჭისყრით შედგენის წინააღმდეგი მინცდამინც არც მასპინძლები უნდა იყვნენ. 1998 და 2002 წლების ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპების კალენდარი თურმე სწორედ „ბერგერის ვარიანტი“ შემდგარა და უკრაინელთათვის თითქმის იდეალური ყოფილა. — ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ მეტოქეი კალენდარზე შეთანხმდნენ. უკრაინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იოჟეფ საბო კი თითქმის დარწმუნებულია, რომ „ბერგერის ვარიანტი“ საჭირო გახდება — გვითხრა ჩვენმა უკრაინელმა კოლეგამ გენადი ჩეხოვსკიმ — ყაზახები მეტოქეებმა შესაძლოა, რომელიმე ვარიანტზე მინც დაიყაბულონ, მაგრამ საკითხავი ისაა, თურქები და ბერძნები როგორ შეთანხმდებიან ერთმანეთში. თურქები აქ ჯერაც არ ჩამოსულიყვნენ, მხოლოდ თავიანთ სასურველ ვარიანტზე რომ ლაპარაკობდნენ. არა მგონია, გინდ უკრაინამ, გინდ საქართველომ, მით უმეტეს, ბერძნებმა, თურქებს რამე დაუთმონ. უკრაინელები, ისევე როგორც მათი მეტოქეები, მოლაპარაკებას ორი ვარიანტით დაიწყებენ. უფრო რეალური ის ვარიანტი ჩანს, სადაც უკრაინა პირველ ტურში საბერძნეთს მასპინძლობს, მეორე ტურში, სექტემბერში კი საქართველოში ჩამოვა. შესაბამისად, საქართველო ბოლოსწინა მატჩს კიევი გამართავს. ასეთი ვარიანტი კი ჩვენებს ხელს აძლევს: გენმდევან ვალერი ჩოლარიას თქმით, კარგი იქნება, თუ მეორე ტურში, სექტემბერში, საქართველო ყაზახეთს ან უკრაინას მიიღებს. ჩოლარიას არგუმენტი ასეთია: უკრაინას ერთი ფეხბურთელი ჰყავს — შევჩენკო, რომელიც სექტემბერში, სეზონის დასაწყისში, ნახევარი შევჩენკოა. კენჭისყრა, რაზეც უკრაინელები ამდენს ლაპარაკობენ, დღის ბოლოს, ექვსის ნახევარზე დაგეგმილი. იქამდე კი, პროტოკოლის მიხედვით, სამ ნაწილად დაყოფილი მოლაპარაკება გაიმართება. საუბრე-შეხვედრა: ლანჩი-შეხვედრა; ყავა-შეხვედრა. და თუ ბერძნებმა და თურქებმა ერთმანეთი დასოცეს, რისი ალბათობაც დიდია, ექვსის ნახევარზე კენჭისყრა იქნება, მერე კი პრესკონფერენცია.




კობა ინასარიძე  
გუნდებში თაობათა ცვლის პროცესი ხდება. ფეხბურთელებიც დიდი საფეხბურთო ფორუმებიდან შესარჩევ ტურნირზე გადმორთვას ვერ ახერხებენ. თანაც ერთ-ერთ ფავორიტთან თამაშს მაშინ მოვიშორებთ, როდესაც ის ოპტიმალური ფორმიდან შორს იქნება. — საქართველოს ნაკრებთან ისურვებდით თამაშს? — არა. ამას გულწრფელად გეუბნებით. იმიტომ, რომ თქვენს ნაკრებს ეყოლება ახალი მწვრთნელი და ექნება გაცილებით დიდი მოტივაცია. ფეხბურთელები ამ დროს თავს არ ზოგავენ და, როგორც წესი, იმარჯვებენ. მე ისიც ვიცი, თუ როდის უნდა ვეთამაშო საქართველოს ნაკრებს, ოღონდ ამას ახლა საიდუმლოდ შევიანხავ.

# თინათინა პოტსდამში განაცხადის გადაცემის შესახებ

**გერმანულ პოტსდამში გუშინ 17 და 19 წლამდელთა ევროსაკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. ამ პროცედურას უფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი უძღვებოდა.**

ჩვიდმეტწლამდელთა დავიწყობა საქართველოს ნაკრები მერვე შესარჩევ ჯგუფში მოხვდა ფინელ, მაკედონელ და ბერძენ ჭაბუკებთან ერთად. სულ კი პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 48 გუნდი 12 ჯგუფში განაწილდა. ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი მეორე შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს. მათ ერთი საუკეთესო მესამეადგილოსანიც შეუერთდება. მეორე ეტაპზე ითამაშებს სამი წინასწარ განთესილი გუნდიც — ესპანეთი, ინგლისი და უნგრეთი. ისინი პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გათავისუფლებულები არიან. მეორე ეტაპზე გუნდები შვიდ ჯგუფში განაწილდებიან და ფინალურ ეტაპზე, რომელიც 2005 წლის ზაფხულში იტალიაში ჩატარდება, მხოლოდ პირველადგილოსნები გავლენ. მერვე გუნდი, ბუნებრივია, მასპინძელი იტალია იქნება. ჩვიდმეტწლამდელთა პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩებს შემოდგომაზე გამართავენ. ცნობისთვის, შარშან ამ ასაკში ევროპის ჩემპიონობა პორტუგალიელებმა მოიპოვეს. ცხრამეტწლამდელთა ბოლოს იტალიამ იპირველა. აპენინელებმა ფინალში პორტუგალია დაამარცხეს და სწორედ ამ ორს შემოდგომაზე საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ ჯგუფში მოუწევს ყოფნა. ჩვენი ცხრამეტწლამდელთა კი მეხუთე ჯგუფში მოხვდნენ სლოვაკეთთან, ლიტვასთან და მალტასთან. მოკლედ, ჩვიდმეტწლამდელთა მეტად ორი წლით უფროს ქართველებს გაუმართლათ. ჯგუფიდან აქაც ორი გუნდი გადის და შემდეგ გათამაშების ფორმატი ჩვიდმეტწლამდელთა ანალოგიურია. მატჩებს ცხრამეტწლამდელთა შემოდგომაზე გამართავენ. ზუსტი თარიღი და საკვალიფიკაციო ეტაპის მასპინძელი ქვეყანა მოგვიანებით შეირჩევა. ფინალურ ეტაპს კი ჩრდილოეთ ირლანდია უმასპინძლებს. შეგახსენებთ, ქართველ ცხრამეტწლამდელთა ვახტანგ კოპალიცივი წვრთნის, ჩვიდმეტწლამდელთა კი ჯერაც მწვრთნელის გარეშე არიან.

სარბიელი



ზურაბ ბერიძე

# მეტრანი მეტრინარების წინააღმდეგ ღეგამი გურთიებს და წურნალისტებს იბერიებს



აკაკი დევაძემ ახალგაზრდობა ახალგაზრდულ „სპარტაკში“ გაიხსენა

**გუშინ** ავტორ „სინათლეზე“ ფეხბურთი დაბრუნდა. უმაღლეს-ლიგელები, „ვიტ ჯორჯია“ და „სპარტაკი“ ამხანაგურად გაეჯიბნენ ერთმანეთს. ეს მატჩი ორივე გუნდისთვის პირველი იყო ახლანდელი სამზადისისას. შეხვედრაც, ცხადია, წმინდა წყლის საწვრთნელი ხასიათისა გახლდათ.

ვეტერინარები ახალგაზრდულ „სპარტაკს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დაუპირისპირდნენ. ლაშა ნოზაძე, ოთარ მარცვალიძე, დავით იმედაშვილი და ლევან გოჩიაშვილი მცირე ტრავმების გამო დააკლდნენ გუნდს. ცხადია, არ უთამაშია ნაოპერაციებ თენგიზ კიააშვილსაც, რომელიც „ვიტ ჯორჯიას“ უკვე კარგა ხანია, ვერაფრით ეხმარება. რუსთავეის „გორდადან“ გადაბირებული მეკარის, გრიგოლ ბედიასვილის თამაში კი მწვრთნელებმა არ ჩათვალეს საჭიროდ. ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯიას“ სერიოზული ძალა აკლდა.

განსხვავებული მდგომარეობაა „სპარტაკში“. მურთაზ ხურცილავა ჯერაც ბლომად ფეხბურთელებს აკვირდება, თუმცა ერთი პრობლემა უკვე მოაგვარა — ზურაბ მამალაძის გუნდიდან წასვლის გამო „დაცარიელებულ“ კარს ამიერიდან გამოცდილი აკაკი დევაძე უპატრონებს. ერთ

დროს საქართველოს ნაკრების მეკარე ბილოს რევიონული ლიგის „ფაზბეგში“ თამაშობდა, საიდანაც თითქოს „მცხეთაში“ მწვრთნელად უნდა გადასულიყო, თუმცა ასე არ მოხდა და გუშინ დევაძე კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ფეხბურთს, თანაც საკმაოდ კარგად — მისი გამოცდილე-



მურთაზ ხურცილავა

ბა და კლასი „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში ერთხელაც გამოჩნდა. ნამატჩევს აკაკიმ ინტერვიუზე თავაზიანი უარი გვითხრა, ჯერ ათამაშე და მერე ვეც მოუსწრებო... თამაში კი ვეტერინარებმა ირაკლი შენგელიას პირველ ტაიმში გატანილი თავურით მოიგეს — 1:0. „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ ჰქონდა რამდენიმე შანსი, თუმცა ხან დარტყმები ვერ იყო ზუსტი, ხანაც დევაძე ყოჩაღობდა.

მთლად უიმედო არც „სპარტაკი“ ყოფილა. ხურცილავას ბიჭებს განსაკუთრებით მეორე ტაიმში შეეკმნათ რამდენიმე რეალური მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

ეს იყო და ეს. სხვა საინტერესო გუშინ „სინათლეზე“ ვერაფერი შევნიშნეთ. „სპარტაკი“ საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას თბილისში გააგრძელებს, ვეტერინარებს კი თურქული შეკრება ელით.

**ბაბა ზალაზბეგის ბაღრი კამილაძის ფოტოები**

# ტორპედო სამგურალი ბაღდათში დაპატიჟა

ქუთაისის „ტორპედომ“ პირველი მატჩი ჩაატარა ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით და 5:1 მოიგო. ქუთათურთა მსხვერპლი „კარის მეზობელი“, ნეალტუბოს „სამგურალი“ გამოდგა. მატჩი კი ბაღდათის სტადიონზე გაიმართა. საქმე ისაა, რომ ქუთაისში გაზონის გაახლებაზე მუშაობენ და „ტორპედოს“ საღამოობით სწორედ ბაღდათში ვარჯიშობს

„სამგურალთან“ ოთარ გაბელიამ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: სტურუა, მახვილაძე, თოდუა, გამეზარდაშვილი, კოშკაძე, ნერვაძე, ჭინჭარაული, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, ქუთათელაძე, ჩხეტიანი. შეცვლაზე ითამაშეს აღუაშვილმა, გოგოლაძემ, დარსაძემ, ქობალიამ და ნადირაძემ. გოლები კი ჩხეტიანმა (2), ბაბუნაშვილმა (2) და ქუთათელაძემ გაიტანეს.

ეს მატჩი წლეულს ჩვენთვის პირველი იყო და ამის კვალობაზე კმაყოფილი ვარ. თანდათან კიდევ უნდა მოუვებოთ, მით უმეტეს, „სამგურალთან“ სულიკო დავითაშვილს, ლაშა ჭელიძეს და გიორგი მეტრეველს მცირე ტრავმების გამო არ უთამაშიათ. იმედი მაქვს, ეს ბიჭები მალე ჩადგებიან ფორმაში — გვითხრა გუშინ ოთარ გაბელიამ.

„ტორპედოს“ კიდევ ორი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი: 2 თებერვალს „სამტრედიასთან“, ხოლო 5-ში თავისსავე ფარმ-კლუბთან.

7 თებერვალს ტორპედოელები ბაქოს გავლით აშხაბადს მიაშურებენ, სადაც „პრეზიდენტის თასზე“ ითამაშებენ. ასეთია საქართველოს სამეზის ჩემპიონების საგაზაფხულო ეტაპისათვის მზადების უახლოესი გეგმები.

**ბაბა ზალაზბეგის**



ოთარ გაბელია

# მუჯირს სისარული არ შეარბებს რა მძიმე ყოფილა ავსტრიული ტვირთი

თურქულ შეკრებაზე ავსტრიული „შტურმი“. გრაცელები ანთალიის მახლობლად, ბელეკში ინვრთნიებიან და იქაური საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან. თურქეთში ჩასულ შტურმელთაგან ყველაზე კარგ ხასიათზე ჩვენებური დავით მუჯირი იყო. ანთალიაში ნასვლამდე გრაცმა მინი-ფეხბურთის ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა, რომელიც, ფაქტობრივად, „მუმუს“ ბენეფისად იქცა, მაგრამ ანთალიაში მწვრთნელებმა მუჯირი ისეთ დღეში ჩააგდეს, ყველაფრის ხალისი დაუკარგეს... დავით მუჯირს გუშინ ბელეკში შევეხმიანეთ



— თურქეთში წასვლამდე „შტურმმა“ გრაცის ტრადიციული ტურნირი მოიგო მინი-ფეხბურთში. ავსტრიულ ტურნალისტებს თუ დაეუჯერებთ, ყველასგან გამორჩეული ყოფილხარ. ასეთი რა გააკეთე?

— ყველა თამაში კარგად წამივიდა. ტურნირში ექვსი გუნდი მონაწილეობდა, ჩემპიონები ჩვენ გავხდით. მე კი 6 გოლით ბომბარდირობა მერგო და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელადც დამასახელეს. თითქოს ბევრიც არაფერი მომხდარა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა და მწვრთნელმა გამორჩევით შემაქვეს, ყოჩაღ, შენი იმედი გვაქვსო. ჩემზე ავსტრიულ გაზეთებშიც დაიწერა, მუჯირი ფორმაში შედის და გაზაფხულიდან „შტურმისთვის“ დიდი ძალა იქნებაო. მოკლედ, ყველამ კარგი სტიმული მომცა და გაზარებული წავედი თურქულ შეკრებაზე, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, აქ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს...

— ასეთი რა ხდება?

— სამგურალი, არანორმალური ვარჯიშები გვაქვს. ავსტრიელები ისედაც გამოირჩეოდნენ შეკრებებზე დიდი დატვირთვებით, მაგრამ პირველად ხომ არ ვარ „შტურმში“, ასეთი რამ აქამდე არ მახსოვს. მწვრთნელები სიქას გვაცლიან. თანაც აქ უამინდობაა და ტალახი ერთიორად ართულებს საქმეს. გუშინწინ კი ფეხბურთელები ლამის გავეციდით. მეორე ვარჯიშის შემდეგ გვითხრეს, საკონტროლო მატჩი უნდა ითამაშოთო. არადა, ბოლო ვარჯიშიდან ერთი საათიც არ იყო გასული. რა უნდა გვექნა, დავლასლავე-

ბდით მოედანზე, მაგრამ უკეთეს დღეში არც ჩვენი მეტოქე იყო.

— ვის ეთამაშეთ?

— სერბულ „ჰაიდუკს“. კიდევ კარგი, „შტურმს“ 25 ფეხბურთელი ჰყავდა გამოსაცდელი და მეორე ტაიმში მომიხდა მოედანზე შესვლა. იმ დროს 1:1 იყო და თანაგუნდელს საგოლე პასი მივეცი. შეაგლო და ანგარიში მერე აღარც შეცვლილა.

— მეორე საკონტროლო მატჩი როდის გაქვთ და ვის ეთამაშებთ?

— შაბათს „დინაროს“ ვხვდებით, ორშაბათს კი ანთალიაში „ბელეკის თასის“ ტურნირი იწყება. მინიმუმ სამი მატჩი გველის და ალბათ ამის გამო ისეთი დიდი დატვირთვები აღარ გვექნება. თურქეთში კიდევ 10 დღე დავრჩებით და მერე ჩემპიონატამდე დარჩენილ დროს კვლავ გრაცში გავატარებთ. ბუნდესლიგა 21 თებერვალს განახლდება და ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა იქნება. სირცხვილია „შტურმის“ ბოლოსწინა ადგილზე ყოფნა.

— უფას თასზე მოხვედრის შანსიც გაქვთ — „შტურმი“ ავსტრიის თასის მეოთხედფინალშია...

— რა თქმა უნდა, თასის ალება ამ სეზონში მაქსიმუმი იქნება ჩვენთვის. არადა, საამისოდ კარგი შანსი გვაქვს, ფაქტობრივად, ნახევარფინალში ვართ, რაკილა მეოთხედფინალური ეტაპი მხოლოდ ერთი მატჩისგან შედგება და „პაშინგი“ გვყავს მეტოქედ. თანაც გრაცში ვთამაშობთ და წესით, მოგება არ უნდა გავგვიჭირდეს.

**ბაბა კვანტალიანი**



# ბუფონის დონა მრავალ თამაშს და ცოტა გოლს დამსწარი



ჯანლუიჯი ბუფონი

**ნაცნობი** განცხადება: „იუვენტუსი“ ამ ეტაპზე ახალ ფეხბურთელს არ იყიდის. ამჯერად ეს სიტყვები ტურინული კლუბის სატრანსფერო საქმეთა დიდოსტატმა, ლუჩანო მოჯიკიმ განაცხადა. „დღეიდან 31 იანვრამდე ჩვენს გუნდს არაფერი დაემატება, რადგან გეწამს, რომ აბსოლუტურად დაკომპლექტებული ვართ“ — თქვა მოჯიკიმ.

ამასობაში კი „ბებერი ქალბატონის“ მეკარე, ჯანლუიჯი ბუფონი ამბობს, რომ მის წინ, ანუ „იუვენტუს“ დაცვაში არანაირი კრიზისი არ არსებობს. შეგახსენებთ, რომ ტურინელებმა 18 თამაშში 21 გოლი გაუშვეს.

„იმ ფაქტმა, რომ წლეულს ადრინდელთან შედარებით მეტ გოლს ვუშვებთ, არ უნდა შეგვაშინოს — თქვა გოლკიპერმა — მე თუ მკითხავთ, ბოლოხანს გაშვებული გოლები მხოლოდ და მხოლოდ ყურადღების მოღუნების ბრალია“.

სხვათა შორის, ამ დღეებში ბუფონი 26 წლისა მოიყარა და კითხვებზე, თავს მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ მიიჩნევს თუ არა, ასე უპასუხა:

„არ ვიცი, ვფიქრობ, ჩემი დონის კიდევ რამდენიმე მეკარეა, მაგალითად, „მილანიში“ დიდა, „მეტუსტარტში“ კი ილდებრანდი და „რენმა“ ჰეტერ ჩეხი.“

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ შემდგომ სეზონში ჩემი უკვე „ჩელსის“ ფეხბურთელი იქნება. ეს საკითხი მოგვარებულია.

რაც შეეხება „იუვენტუს“ კრიზისს, ბუფონს ეთანხმება მისი თანაგუნდელი, მცველი ნიკოლა ლეგროტალიეცი, რომელიც დარწმუნებულია, რომ დროა მან და მისმა მეგობრებმა კრიტიკოსებს პირში ბურთი ჩასწარონ.

„რაც ტურინში გადმოვედი, ტრავმა ამეკიდა, მაგრამ ახლა უკვე თავს კარგად ვგრძობ. ამასთან ვიცი, რომ მწვრთნელი, მარჩელო ლიპი ჩემზე კარგი აზრისაა, რისთვისაც ვემაღლიერები. ახლა უკვე დროა ყველას დავანახო, რომ მოვლანხე კარგად თამაშს მეხერხება“ — განაცხადა „ბარის“ ყოფილმა მოთამაშემ.

ბაბუნა კედი



მანჩესტერ სიტი

## ფერმი მოანერა, რუული მოანერს

სერ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს მოანერა ხელი. კონტრაქტი არც ისეთი გამოდგა, როგორცადაც დეკემბერში აღწერდნენ და არც მთლად ისეთი, ამ კვირის დასაწყისში რომ ლაპარაკობდნენ, ის არც მთლად ისეთია, მენეჯერთან დაპირისპირებულ კლუბის მთავარ მენეჯერებს, ჯონ მანიესა და პიჯევი მაკმანუსს რომ სწავლიათ

მოკლედ, კონტრაქტი ერთწლიანია, ოღონდაც იგი 2005 წლის ზაფხულიდან ამოქმედდება, ანუ მას შემდეგ, როცა სერ ალექსს ამჟამინდელი კონტრაქტი დაუმთავრდება. იმ ერთი წლის ხელფასი 5 მილიონ ვირჯანქას მისწვდება. „ბედნიერი ვარ, ახლებური ქალაქი და მოკლე ვადები სამუშაოზე კონცენტრირების საშუალებას იძლევა — თქვა მენეჯერმა — გუნდის გადახლისების სრული თავისუფლება მათს და ჯილდოების მოგების სურვილიც აქა და ევროპაში“.

ამ სიტყვების მიუხედავად, კონტრაქტი მანიესა და მაკმანუსის გამარჯვებულ სჩანს, რადგან ფერგის ოთხწლიანი ხელშეკრულება სწავდა, ოღონდ ამ ოთხწლიდან ათვლა მოწერისთანავე დაიწყებოდა.

ირლანდიელი წყვილი, რომლის „უიტიკ ექსპრესს“ „მანჩესტერის“ აქციათ 25 პროცენტზე ეკუთვნის, აცხადებდა, რომ თუკი კლუბი ოთხწლიან კონტრაქტს შესთავაზებდა მენეჯერს, ისინი სავანებო სხდომას მოიწვევდნენ და კლუბის საწილო საქმეებსაც არეუდნენ. ეს ო-

წლიანი კონტრაქტი კლუბსა და მენეჯერს შორის შეთანხმებული იყო, მაგრამ სადავო შეიქნა მას შემდეგ, რაც ფერგიუსონი და მანიე სადღე ცხენის გამო წაყიდნენ ერთმანეთს და საქმე სასამართლომდე მიიყვანეს.

„მანჩესტერის“ პასუხისმგებელმა შეფმა დევიდ გილმა თქვა, რომ უკვე ხელმოწერილი, კომპრომისული კონტრაქტი ორივე მხარეს აძლევს ხელს. ხოლო „მანჩესტერის“ თავმჯდომარემ, სერ როი გარდნერმა კი განაცხადა: „მე უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ, რომ ალექსი ჩვენთან რჩება“.

მენეჯერის ამ ხელმოწერას ელოდა რუულ ვან ნისტელროიც, რომელიც მომავალ კვირაში ხუთწლიანი კონტრაქტით განახლებს ურთიერთობას „მანჩესტერთან“ და როგორც ამბობენ, ამ ხუთ წელიწადში 23,5 მილიონ ვირჯანქას მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კვირული ხელფასი 90 ათასი ვირჯანქა იქნება, იმდენივე, რამდენიც კაპიტან როი კინისა.

ირაკლი ბაყრაძე

## დასურებით ფანჯარა! პრანდელი გაყიდულა მისტირის, გასაყიდები არ ემატება

„პარმას“ მწვრთნელს, ჩეზარე პრანდელის ერთი სული აქვს, იანერის სატრანსფერო ფანჯარა როდის დაიხურება. მიზეზი გასაგებია — ამ თვეში პრანდელის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელები კლუბის ფინანსური მდგომარეობის გამო სასწორებლად ერთმანეთის მიყოლებით გაიყიდნენ და მწვრთნელს მთელი სამუშაო გეგმა აერია. გაიყიდნენ ჰიდელბერგში ნაკატა, ადრიანო, ყუნიორი და ემანუელე ფილიპინი. პრანდელი კი შიშობს, რომ თებერვლის მოსვლამდე შეიძლება კიდევ გაუყიდონ ვინმე.

„წუთებს ვითვლი, ერთი სული მაქვს, როდის დაიხურება ბაზარი. ბოლოს და ბოლოს, ვინც ჩემთან გაუშვეს, მუტუ გნებავთ, ადრიანო თუ ნაკატა, ჩვეულებრივი ფეხბურთელი ერთიც არაა. მიდით, აბა, „რომას“ ტოტი და კასანო გამოართეთ, ნახეთ ერთი რა გამოვა, სად და-


ამთავრებს ეგ გუნდი პირველობას“.

ჭორების თანახმად კი უახლოეს დღეებში პრანდელის მატეო ფერარის და დანიელე ბონერას ააცლიან.

„არ ვიცი, მე სიტყვა მომცეს, რომ იენისამდე აღარავინ მომაკლდება — იმედს არ ჰკარგავს მწვრთნელი — ძალიან მნიშვნელოვანია 40 ქულა მოვიპოვოთ და სერია A-ში დარჩენა გავინადლოთ“.

და კიდევ, პრანდელი მოხარულია, რომ პრემიერლიგის კლუბების მოწადინების მიუხედავად, მარკ ბრეშინი და ბენიტო კარბონე „პარმას“ ერთგულნი დარჩნენ.

„მინდა ხაზი გავუსვა მათ საქციელს. სხვა ფეხბურთელებს კი ასე მივმართე: თუ სადმე წახვალთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნამდვილად ის იქნება, რაც ვინდოდათ“.



ჩეზარე პრანდელი

ბაბუნა კედი

### მსკანეთი

**სამეფო** თასის V4 ზინალი  
**საპასუხი** მატჩები

სელტა 1:0 ალკანთისი (2:4)  
1:0 გუსტავო ლოპესი (69)

ატლეტიკო 1:2 სევილია (0:4)  
1:0 ფ. ტორესი (13), 1:1 ბაპტისტა (80), 1:2 დარიო სილვა (81)  
გაძეგვა: ლევი (69, „ატლეტიკო“)

**შალენსი** 1:2 რეალი (0:3)  
0:1 რაული (14), 1:1 ხისკო (73), 1:2 ზიდან (90)

**შალენსი**: პლომი, რ. აიალა (ზორხე ლოპესი 50), მარჩეა, გარდო, დევიდ ნაგრო, ბარასა, ვინჩენცო რუფეტე (სისკო 58), აიბარი (ოლვირა 46), ანგულო, მისტა მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

**რეალი**: სქარი, სალგადო, რაულ ბრავო, მენია, ბონა, ფეგუ (ზუნდრანი 64), ი. ელგერა, გუტი, სოლარი, რაული (ზიდან 74), რონალდო (მორტილიო 64)  
მწვრთნელი: კარლუშ კეირუში  
გაფრთხილება: დევიდ ნაგრო, ბორნა, გუტი, რაულ ბრავო  
მსაჯი: კარმონა მენდესი  
42 000 მაყურებელი

## ბარგად დაიწიეს, უკეთესად დაამთავრეს

მოულოდნელი არაფერი მომხდარა — იმ სამმა გუნდმა, რომლებმაც სამეფო თასის პირველი მეთხედფინალური მატჩები დიდი ანგარიშით მოიგეს, საპასუხო შეხვედრების მერე ნახევარფინალში გააღწიეს.

ყველაზე საინტერესო მაინც „სელებას“ და „ალავესის“ შეხვედრაა ყოფილიყო. ვეგოლებს სეგუნდად ვიზიტორულა დასაჯებნად 2:0 მოგება სჭირდებოდათ, მაშინ, როცა „ატლეტიკოს“ „სევილიასთვის“ სულ მცირე 4:0 უნდა მოეგო, „ვალენსიას“ კი „რეალისთვის“ — 3:0.

„სელებამ“ ანგარიშის გახსნა მეორე ტაიმის შუაში, თამაშის დასრულებამდე ოციუდე წუთით ადრე მო-

ახერხა. ვიტორიელთა მეკარე ზუან პაბლომ გუსტავო ლოპესის საჯარიმო დარტყმას ვერაფერი მოუხერხა. პოდა, ხომ წარმოიდგენიათ, როგორ გახელდებოდნენ და როგორ დაიგე შეხვედრები კიდევ ერთი გოლის გასატანად გაღისილელები. მათი ახალი მწვრთნელი რადომირ ანტინი ადგილს ვერ პოულობდა და ფეხზე მდგომი ცმუკავდა. მაგრამ ბასკთა დედაქალაქის გუნდმა დაცვაში ზედმიწევნით გამართული თამაშით 0:1 იკმარა, ანუ ნახევარფინალში გააღწია.

„ვალენსიას“ ხომ იმედი ისედაც არ უნდა ჰქონოდა და რაულმა მე-14 წუთზე რომ გაუტანა, თამაშმა საერთოდ დაკარგა აზრი. რაულს ასის-

ტენტობა რომაღდომ გაუწია.

ამის მერე ისევ რომაღდოს ჰქონდა კარგი მომენტი, თუმცა მომდევნო გოლი „რეალის“ კარში გავიდა. მეორე წამატებულ წუთზე კი ტრავმამოშეშებული მანიელნი ზიდანმა ოსტატურად შემავალი ბურთი ცოცხალი კედელს და ჩემპიონატში ლიდერობამოლორთმეული „ვალენსია“ თასიდანაც დაიფრინა.

ნაღდად ვერ გეტყვით, რა რჯიდა ატლეტიკოელ მატარის ლეკის მსაჯს თავი რომ გააგდებინა. მის გუნდს მოგების იმედი ისედაც არ უნდა ჰქონოდა და ასე ჩემპიონატის მომდევნო თამაშებშიც ცუდი სამსახური გაუწია. სევილიელებმა კი ფერნანდო ტო-



ფერნანდო ტორესი მაგარად მოხვდა

რესის გოლი ერთწუთიანი ინტერვალით ვერ გაქვითეს, მერე თავად დაწინაურდნენ. აქედან ოთხ წუთში კი მარტივ პენალტი გააფუქა, თუმცა აბა, რატომ ინაღვლებდა — „სევილია“ ისედაც ნახევარფინალში იყო.

კობა კედი

# როგორ აპირებენ მილიონები? ბაიონაზულია დედამ გერმანიას დორტმუნდი გაურჩია

გერმანული „დორტმუნდის“ ხელმძღვანელები ამბობენ, რომ მათი კლუბი ფინანსური კოლაპსის ზღვართან მხოლოდ ერთ-ერთი ნაბიჯით არ დგას, გუნდის ერთ-ერთი

ვარსკვლავი კი დიდძალი ფულის გაქრობის ამბავს კითხულობს. იგი დარწმუნებულია, რომ გვარნიანი თანხა აორთქლდა

თვლებით იყო გამოჩენილი „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დედამ განაცხადა, რომ ბაიონაზულია, როგორ გახდა რამდენიმე წლის წინ მდიდარი „დორტმუნდი“ კრიზისული ორგანიზაცია — ლაპარაკია 100 მილიონ ევრო ვალზე და საუკეთესო, ძვირი მოთამაშეების გაყიდვაზე.

აი, მაგალითად, ჩეხი ტომას როსიცი, რომლის შექმნით „ჩელსი“ და „ბარსელონი“ იყვნენ სულ ახლახან დაინტერესებულნი. მას მართალია, „დორტმუნდთან“ 2008 წლამდე აქვს ხელშეკრულება დადებული, მაგრამ რომ გაყიდულიყო, არც მეტსა და არც ნაკლებს, 30 მილიონ ევროს მოიტანდა.

სექტემბერში, როდესაც გაირკვა, რომ „დორტმუნდმა“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპი ვერ გადალახა, კლუბის ხელმძღვანელებმა ფეხბურთელებს შემოსავლის 20 პროცენტით შემცირება სთხოვეს და დაითანხმეს, თუმცა რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა მით უარესდებოდა — „დორტმუნდს“ საქმეები იმდენად აერია, რომ ჯერ გერმანიისა და უეფას თასებს გამოეთიშა, ხოლო შემდეგ, ბუნდეს-

ლიგის პირველი წრე მხოლოდ მეექვსე ადგილზე ჩამოხვდა, ანუ ლიდერს, „ვერდერს“ მთელი 14 ქულით ჩამორჩა.

მოვიტანოთ ციტატები დედის ინტერვიუდან:

„სამი წლის წინ კლუბმა საფონდო ბირჟის მონაცემებით, 180 მილიონი დოლარი მოაგროვა. ამის შემდეგ, აგერ უკვე ორი წელიწადია, ერთი პრემია არ გადახდილა, რასაც ხელფასების ოცპროცენტიანი შემცირება მოჰყვა. მერე გაყიდეს ბილეთები შემოსავალი და ახლა როსიციზე ალაპარაკდნენ. გაუგებარია, რა ხდება. უცბად რატომ აღმოჩნდა, რომ უკაპიკოდ ვართ?“

შეგასვენებთ: „დორტმუნდი“ გერმანიის ექვსეზის ჩემპიონი და 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელია. ხოლო კრიზისი გერმანულ ფეხბურთში ბუნდესლიგის ტელეტრანსლაციითა უფლებათა მფლობელის, „კირხმედიის“ გაკორტებას მოჰყვა, როგორც „ჰიპოვერანსბანკის“ ექსპერტები ამბობენ, ამ წელიწადს კლუბები 44,8 მილიონ ევროს წააგებენ და ბრუნვა 31 პროცენტით შეუმცირდებათ. ამის პა-

სუხად, კლუბების შეფები ამბობენ, რომ უახლოეს მომავალს საფრთხეს მაინც არაფერი უქმნის, აი, სამომავლოდ კი გადარჩენისთვის საჭირო თანხები გამოსატეხნი.

**მაიერი:** „2003-04 წლების სეზონს არაფერი ემუქრება, შემდგომი სეზონისთვის კი მარკეტინგისა და სატრანსფერო სფეროების მოწესრიგება დაგეგმილია“.

„ვესტფალენშტადიონი“, სადაც „დორტმუნდი“ თამაშობს, 83 ათას ქომაგს იტევს და ამ მონაცემით გერმანიაში უდიდესია. გარდა ამისა, ეს სარბიელი იმითაც გახლავთ ცნობილი, რომ მისი ტრიბუნები, როგორც წესი, კარგად ივსება — ყოველწლიურად 55 ათასი აბონემენტი იყიდება და პლუს ხუთი ათასიც ბილეთიანი ყველაზე რიგით შეხვედრაში.

ჩვენზე ყოველთვის ცუდს წერენ, უნდათ კარგი რაც გვაქვს, მიჩქმალონ — ამბობს პრეზიდენტი ნიბაუმი — ჩვენ უდიდესი სტადიონი და უდიდესი დასწრება გვაქვს, მაგრამ ამასთან ჩინებული ფეხბურთელებისგან შედგენილი გუნდიც გვაქვს“.



დედამ გუდას პირი მოხსნა

ხოლო გერმანიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საშიში არაფერია, რადგან „დორტმუნდის“ ეს სიტუაცია „კაიზერსლაუტერნისას“ ჰგავს, როდესაც „კაიზერსლაუტერნი“ პრობლემა სტადიონის გაყიდვით გადაჭრა.

აბაშა კელია



მიხეილ მაიერი

კლუბის ხელმძღვანელთა მხრიდან კომერციულმა მენეჯერმა, მიხეილ მაიერმა ისაუბრა და პრეზიდენტის, გერდ ნიბაუმის ნათქვამი მოიშველია — „დორტმუნდი“ ფინანსურად სრულიად უსაფრთხოდ არის, ხოლო შავბნელ სურათს ის ჟურნალისტები ხატავენ, რომლებიც ფაქტებს ზედაც არ უყურებენ.

რამ ალაპარაკა ორი თანამდებობის პირი? ბრაზილიელი დედის ინტერვიუ, რომელიც ამ დღეებში „შპორტ ბილდში“ გამოქვეყნდა. ცნობისთვის, დედა ის მოთამაშეა (ნახევარმცველი), რომელიც კარგახანს დორტმუნდელი ქომაგების კერპი გახლდათ. ის ყოველთვის მუხლჩაუხრელი მუშაობითა და ერ-

## ბუნდესლაგატი ეფენბერგმა ნაცოლარს ენაზე ფიხი დაადგა

ყატარში გადაბარგებულმა შტეფან ეფენბერგმა გასული წლის ბოლოს პირველ ცოლ მარტინასთან გაყრა ოფიციალურად გააფორმა, შემდეგ კი ასევე ოფიციალურად კლაუდია შტრუნცზე იქორწინა. თითქოს ყველაფერი მშვიდად და ნივილ-კვილის გარეშე დასრულდა, მაგრამ მარტინამ ვერ მოისვენა და ჟურნალ „ბუნტესთან“ საუბარში დარდები გადმოაფრქვია. ქმარსგაცილებულის თქმით, ბუნდესლიგელი ფეხბურთელების უმეტესობა ცოლებს თვალდაუხამხამებლად ღალატობს

„ძალიან ბევრი მოთამაშე, რომლებსაც ვარსკვლავობა თავში აუვარდა, ანკესზე ადვილად ეგება. მათ არ ესმით, რომ ქალებს მხოლოდ ცნობილ კაცებთან ტრფიალი არ სურთ და ცდილობენ, მათგან შვი-

Advertisement for 'In der Liebe bin ich Egoist.' featuring a woman and the text 'Ehemann packt aus. Exklusiv in BILD.' Below it, a smaller image of a woman with the text 'Dild für Daine' and 'ფეფს წიგნი ყატარში ამ ყლის გამო ატრიალეს'.

ლები იყოლიონ, რათა შემდეგ ქონებაც იშოვონ. ძალიან მწყინს, რომ ამ უტყუარ ვაი-ვაყუაცებს თავები არ უმუშავენ და სანამ თავისი სხეულის სხვა ნაწილს აამოქმედებენ, ფიქრი ეხარებათ. არ მესმის, როგორ შეიძლება ასე უნიათო დამოკიდებულება გქონდეს ოჯახთან. რაში სჭირდებათ ისეთი ქალები, რომლებიც პირფერობით საათში სამჯერ ეტყვიან, ძალიან მაგარი ბიჭი ხარო.

გასულით მატჩებში შტეფანს ხშირად დავყვებოდი. თვითონ მთხოვდა ამას. ვხედავდი, თუ როგორ მიათრევდნენ ფეხბურთელები ნაირ-ნაირ გოგოებს სასტუმროებში. მერე კი, მატჩის დროს, ხელზე ბეჭდებს კოცნიან და ცოლებს მოედინდენ ერთვულულებს ეფიცებიან. საზიზღრობაა!

უყურებ ხანდახან ოლივერ კანის მეორე ცოლს და წინასწარ მეცოდება. ოლივერი მასთან დიდხანს არ გაჩერდება. ვინც ერთხელ



შტეფან ეფენბერგი ცოლსა და ნაცოლარს შორის

გადაუხვია გზიდან, მერე სულ რეინებით ივლის. კანისთან ქმარს არ ვისურვებდი. ადამიანებს საკმაოდ კარგად ვცნობ და დარწმუნებული ვარ, ოლივერი ჩემი მეუღლე რომ ყოფილიყო, მეც იოლად მიმატოვებდა.

ფეხბურთელთან რომანს აღარასოდეს ვაგაბამ. ღმერთმა დამიფაროს! მით უმეტეს, მათნაირებთან საქმეს ორსულობამდეც კი არ მივიყვანდი, არათუ ქორწინებამდე. ამ ჯიშს (ფეხბურთელებს) სათოფეზე ვერიდები, აღარ მსურს ისევე ძეგლებურად ცხოვრება. ეფენბერგთან ურთიერთობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ჩემი ვარაუდი მართალია.

შტეფანი ახლაც არაა ბედნიერი, ვიცის, ვგრძობ. საოცარია, მაგრამ იგი ისევე მირეკავს და პირადულ ამბებზე მესაუბრება. მან აირჩია ეს გზა და იაროს. ფრაუ შტრუნცს ჩემს სახლში არ ვაგაჭაჭანებ. ერთხელ შტეფანს სურდა ჩემთან

მისი მოყვანა. კლაუდიასთან ერთად მოვიდა, მითხრა, სამნი დავსხდეთ, ვისაუბროთო. კლაუდია ზღურბლზე არ გადმოუვსი და იგი ავტომატულად დარჩა. ორნი მოვიდნენ და ერთი ბოთლი მინერალური წყალიც კი არ მოიტანეს“.

მარტინას ნათქვამს „ეფეს“ მეორე ცოლმა ასე უპასუხა: „მე და შტეფანი თავს ძალიან კარგად ვგრძობთ და არავის ვურჩევ, რომ ჩვენს საქმეში ცხვირი ჩაყოს, მით უმეტეს, მარტინას. „ეფე“ გადასარევი ვაყუაცია. ჩემი პირველი ქმარი ტომასიც რომ მისი მსგავსი ყოფილიყო, ბედნიერი ვიქნებოდი“.

ეფენბერგის წიგნი — „მე ეს ყველას ვაჩვენე“ (შუა თითი რომ აჩვენა) ყატარში აკრძალეს. მიზეზი გარეკანის სურათია. სურათზე კლაუდია შტეფანს მუცელზე ჰკოცნის, მუსულმანური სამყაროსთვის კი ეს სახიფათოა. ამბობენ, წიგნი არალეგალურად მაინც იყიდებო.

„ეფემ“ მარტინას ნალაქლაქარი შეიტყო და „ბილდის“ ფურცლებიდან უპასუხა: „არ მესმის რამ ააფორიაქა და ენა რად გადმოაგლო. ბევრი ვეცადე, მშვიდობიანად დავმორებულყავით. არ მსურდა, ჩემს გასაღამდლად საბაბი მიმეცა, თან ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ქონება შუაზე გაუყავი.“


„მართალია, ცოლის გარდა ის ჩემი აგენტიც იყო, მაგრამ მისი მოვალეობა მარტივი გახლდათ. მე ვეუბნებოდი, თუ რამდენი თანხა უნდა მოეთხოვა ამა თუ იმ კლუბისგან, სადაც ვაპირებდი გადასვლას. მარტინა მხოლოდ ჩემს ნათქვამს იმერებდა. სულ ეს იყო.“

„არც ისეთი ანგელოზია, როგორც თავი მოაქვს. სანამ ჩვენი ურთიერთობები იწვევებოდა, თვითონაც მოასწრო უცხო კაცების საწოლებში კოტრიალი.“

გამა ხუციშვილი



# აფრიკის ეროვნებათა თასი 2004 ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი



## რა დროს ფანბურთია? აფრიკაში ზანგებს ჩაბრავენ!

**A ჯგუფი. II ტური**  
**რუანდა 1:1 გვინეა**  
0:1 ტ. კამარა (49), 1:1 კამანზი (90)  
**ტუნისი 3:0 კონგოს დრ**  
1:0 დუშ სანტუში (55), 2:0 ბრაჰამი (66), 3:0 დუშ სანტუში (88)  
**გაქვეყნა: ლუა ლუა (38, კონგოს დრ)**  
ერთი თამაშით ბევრი რამ გაირკვა: ტუნისი პირველი მეოთხედფინალისტი, დემოკრატიული კონგო ჯგუფში ჩარჩა, ხოლო ლომანა ლუა ლუა გაბრაზდა.

„ნიუკასლის“ ფორვარდი ტუნისი — კონგოს მატჩის მთავარმოქმედი პირი გახდა. ლომანა, როგორც კაპიტანი, გუნდს კონკრეტულად უძღვეოდა. მისმა ჯიჯივამ თამაშმა თანაგუნდელებიც აიყოლია და მასპინძლებს ნერვები უწეწეს.

38-ე წუთზე ლომანა ლუა ლუა და ტუნისელი ჟოაკარ მნარი ხელდახელ შეიბნენ. კონგოელთა კაპიტანი მეტოქის პროვოკაციამ „მსხვერპლა“, მნარის თავხედობას უპასუხა და სამხრეთაფრიკელ მსაჯე ჟერომ დამონს მეტი მიზეზი არც უნდოდა, ლომანა ტრეზორს წითელი ბარათი უჩვენა და არაბთა სიმპათია დაიმსახურა.

კონგოელები საკმაოდ კარგად თამაშობდნენ და კაპიტანი რომ არ გაეგდოთ, ტუნისელებს მათი ძლევა გაუჭირდებოდათ.

კაცნაკლულ და გულგატეხილ დემოკრატიებს მეორე ტაიმში, ცხადია, გაუჭირდათ და შეხვედრა დათმეს. გატუნისელებულმა დუშ სანტუშმა დუბლი მიითვალა, ერთი კი ნაუქ ბრაჰამმა შეავლო. ლომანა ტრეზორის გაგდებას დაეუბრუნდა. კონგოელი ფეხბურთელი ცოცხალი თავით გასვლას არ აპირებდა, მსაჯე დამონს ელაგებოდა, გასაგებები ვინც იყო, ის მოედანზე დატოვეთ, ეს სადაური სამართალია.

საქმში სათადარიგოთა სკამიდან წამოხტარნიც ჩაერივნენ. მასპინძელთა ფრანგმა მწვრთნელმა, როჟე ლეზერმა თავად გააცალა ლუა ლუა გასახდელო და გზაში ჭკუაც დაარია.



ელ-ჰაჯი დიუფი გოლით იმუქრება, ფერდინანდ კოლი კი სენეგალს ვერაფრით დაეხმარება

ნამატჩევს ლემერმა თქვა: „მალთან მეწყინა, რომ ასე მოხდა, ეს დამაბული თამაში იყო და თქვენ უნდა გაუგოთ ლუა ლუას, რომელსაც გასახდელში მიმავალ გზაზე ვუთხარი, ფეხბურთში ყველაფერი ხდება-მეთქი, თან ვაწყნარებდი. მსგავსი მომენტი ჩემს ცხოვრებაშიც არაერთხელ ყოფილა. რაც შეეხება ჩვენს გამარჯვებას, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რადგან მეოთხედფინალი გავინადღეთ“.

ლემარი ხარობდა, კონგოელები კი, ცხადია, დაზაფრულნი იყვნენ. ჯერ გაქვეყნების გულისხმადე შეეიტყვოთ, რომელმაც ტუნისზე ისეთები თქვა, რომ არ გაეგდოთ, ალბათ არც იტყოდა: „წითელი ბარათი არ უნდა მიმეღო, მაგრამ მივიღე, ანუ ეროვნებათა თასი ჩემთვის დასრულდა. გუნდი დავადლატე და ამის გამო შესაძლოა, ოჯახს პრობლემები შეექმნას. ახლა ოჯახის წევრებზე ვფიქრობ. ღმერთმა იცის, რა მოხდება“.

ლომანა ლუა ლუამ მასპინძლებიც გაამთრახა: „მგონია, რომ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი იყო და დღის ბოლოს ტუნისელებმა მიიღეს ის, რაც სურდათ. აქ ჩამოსვლის დღიდან როგორც ნახევარს ისე გვიყურებენ, არაფრად გვაგდევენ. მოედანი, სადაც სავარჯიშოდ დავდივართ, სასტუმროდან საათნახევრის სავალზეა, საკვები კი — ნავისმავარი. კონგოელებს ნომრებში ორადგილიანი საწოლები დაგვახვედრეს, მალელებს კი — ცალ-ცალკე, კომფორტულად მოწყობილი ლოგინები გაუშალეს. ტუნისელებს ემსიონდათ ჩვენი გუნდის და ამიტომაც გაგვიმასპინძლდნენ ასე. თავს არ ვიძმართლებ, რადგან მოედანზე ნამდვილად მე დავამსავე. მეტოქის პროვოკაციაზე პასუხი არ უნდა გამეცა. ნერვები ვედარ მოვთოკე. მომდევნო მატჩში ვეღვ ვითამაშებ, მაგრამ მხდალი არ ვარ, რომ გულანაბადი ავიკრა და შინ წავიდე. აქ დაერჩები და

ჩვენებს ვუქომაგებ. მწვრთნელს, მეგობრებსა და კონგოს ბოდიშს ვუხდი“.

დემოკრატიული კონგოს ინგლისელი მწვრთნელი მიკ ვოდსუორთმა არანაკლებ გაბრაზებულმა ილაპარაკა: „ვარჯიშზე დაგვიანებით მივიდილით, ხან ბურთები არ იყო და სასტუმროდან სავარჯიშოდ დღეში ორჯერ სიარული გვგლიდა. ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო მიმართული. თუნდაც ტუნისელი მოთამაშის არტისტობა რად ღირს, ისე წაიმსახიობა მოედანზე, რომ მას ოსკარის ნომინაციაზე წარუადგენდი. ეს არაკაცური საქციელია და ასეთი ხალხი მეჯავრება. სამართლიანი თამაშის წესებს არად დავიდევენ, სირცხვილია. რაც შეეხება ლომანა ლუა ლუას, მატჩამდე რამდენჯერმე ვუთხარი, ფრთხილად იყავი, პროვოკაციას არ წამოეგო-მეთქი, მაგრამ სწორედ იქ შეყო ცხვირი, სადაც არ უნდა შეეყო“.

ასე დამთავრდა ტუნის-კონგოს მატჩი და მასპინძლები მეოთხედფინალში B ჯგუფის (სამხრეთ აფრიკა, ნიგერია, მაროკო, ბენინი) მეორეადგილოსანს შეხვდებიან.

აფრიკის ეროვნებათა თასის დებიუტანტმა რუანდამ კი პირველი ისტორიული ქულა მოიპოვა, შეიძლება ითქვას, გამოგლიჯა გვინეას, რომელსაც გამარჯვება ჯიბეში მოყურებულები ეგონა.

ანგარიში ტიტი კამარამ მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა, შესვენებამდე კი რამდენიმე კარგი მომენტი მაიფურჩა. რუანდელებმა შეხვედრის ბოლო წამებზე გაათანაბრეს. კუთხურიდან საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი კარში კამანზის მიუკორდა, რომელმაც კემოკო კამარას გაუტანა.

ალსანიშნავია, რომ რუანდელები ნამატჩევს უკმაყოფილონი იყვნენ, ნახევარმცველმა ჟოაო ელაზმა თქვა, უნდა მოგვეგო და ფრე სუ-



კონგოელთა საქმე მას მერე იირია, მსაჯმა მოედნიდან მათი მოჩხუბარი კაპიტანი ლომანა ლუა ლუა რომ გააძევა

ლაც არ მახარებსო — დებიუტანტმა მწვრთნელმა რადომირ ჯუკოვიჩმა კი პრესკონფერენციაზე მიბრძანება არ ინება, ცუდად ორგანიზებულია, რამდენ ხანს გელოდოთ და სასტუმროში გაუტია.

**III ტური, I თამაშვალი**

რუანდა — კონგოს დრ, ტუნისი — გვინეა	ტუნისი	2	2	0	0	5:1	6
	გვინეა	2	1	1	0	3:2	4
	რუანდა	2	0	1	1	2:3	1
	კონგოს დრ	2	0	0	2	1:5	0

ტუნისი გავიდა მეოთხედფინალში

## აპოგოვსებთ კარს დიუფამ ოჯახში მტერი იპოვა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი სენეგალი ტუნისში მთავარფაფორიტად ჩავიდა, მაგრამ პირველივე ტურში წაიფორხლა — ბურკინა ფასოს დაუხვდა.

სენეგალის ნაკრების მთავარი პროლემა იმ მატჩში გამოუყენებელი საგოლე მომენტები იყო. ეს ზოგადად უფიქროსი სენია და გი სტეფანის შეგირდებიც გამონაკლისნი არ არიან, მაგრამ მათ შემსრულებლები ნამდვილად ჰყავთ, ამიტომაც მწვრთნელი გოლს ითხოვს.

„ფეხბურთელები კენიასთან მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადებიან. განწყობა კარგია და ბიჭებმა იციან, მათგან რას ველი. ძალიან გულნაკლულები არიან იმის გამო,

რომ პირველი თამაში ვერ მოიგეს. მართალია, კამერუნს და ნიგერიასაც პირველ ტურში იგივე დაემართათ, მაგრამ ეს ჩვენ არაფერს გვაძლევს. დღეს გამარჯვება აუცილებლად გვჭირდება და ვარჯიშზეც შეტევის ვარიანტებს ვამუშავებთ. ძალიან ცუდია, რომ ბევრი მომენტის მიუხედავად, შედეგიანობა დაბალია. მჯერა, რომ კენიასთან ყველაფერი გამოსწორდება და მეტოქის კარს ამოვაგვსებთ.“

გი სტეფანის ერთადერთი დარდი ფერდინანდ კოლის ტრავმაა. იგი ალბათ ვერ ითამაშებს, მაგრამ, ფრანგი თავკაცის თქმით, კოლის ღირსეულ შემცვლელს მოუნახავს. „ლივერპულს“ თავამსხმელი, ელ-

ჰაჯი დიუფი კი ამბობს: „ყველაზე დიდი მეტოქე საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. თუ ისე ვითამაშებთ, როგორც ვიცით, უეჭველად მოვივებთ.“

კენიელებს ერთი ტრავმირებული ჰყავთ. მცველ ვავერუს კისერი დაუზიანებია, საავადმყოფოში წაუყვანიათ, იქ კი ექიმებს უთქვამთ, სამ თვეს ფეხბურთს ვედარ ითამაშებსო.







Table with columns 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Rows include 24.00 048, 24.00 204, 20.15 205, 23.00 206, 23.00 207, 23.00 208, 23.00 209, 23.00 210, 23.00 211, 23.00 212, 23.00 213, 23.00 217, 23.00 218, 23.00 219, 23.00 220, 23.00 221, 23.00 222, 23.00 223, 23.00 224, 21.15 225, 23.15 226, 00.15 230, 01.00 231, 20.00 232, 20.00 233, 20.00 234, 20.00 235, 00.45 237, 23.45 238, 15.45 242, 19.00 243, 19.00 244, 19.00 245, 19.30 246, 19.30 247, 20.00 248, 20.00 249, 20.00 250, 23.00 277, 23.00 278, 23.00 279, 23.00 280, 23.00 281, 23.00 282, 23.00 283, 23.00 284, 23.00 285, 23.30 289, 23.00 290, 23.00 291, 23.00 292, 23.00 293.

Table with columns 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Rows include 294, 23.00 295, 18.00 296, 18.00 297, 23.00 298, 22.30 301, 23.00 302, 18.00 303, 18.00 304, 18.00 305, 18.00 306, 18.00 307, 18.00 308, 18.00 309, 21.00 313, 21.00 314, 21.00 315, 21.00 316, 21.00 317, 21.00 318, 21.00 319, 21.00 320, 15.30 324, 21.30 326, 15.30 327, 15.30 328, 15.30 329, 15.30 330, 15.30 331, 21.00 332, 17.00 370, 22.00 371, 17.00 372, 21.00 373, 15.30 1009, 16.30 1010, 17.30 1011, 19.30 1012, 19.30 1013, 20.00 1014, 20.00 1027, 20.00 1028, 20.30 1029, 20.30 1030, 21.00 1031, 21.00 1032, 21.00 1033, 20.00 1051, 20.00 1052, 20.00 1053, 20.00 1054, 20.00 1055.

Table with columns 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Rows include 22.30 1066, 22.30 1067, 22.30 1068, 22.30 1069, 22.30 1070, 22.30 1071, 22.30 1083, 22.30 1084, 22.30 1085, 22.30 1086, 22.30 1087, 22.30 1088, 04.00 1165, 04.30 1166, 05.30 1167, 07.00 1168, 07.30 1169, 04.00 1279, 04.00 1280, 04.30 1281, 04.30 1282, 05.00 1283, 06.30 1284, 07.30 1285, 5401, 5403, 5404, 5405, 5406, 5407, 5408, 5409, 5410, 5411, 5414, 5415, 5416, 5417, 5418, 5419, 5420, 5421, 5422, 5427, 5428, 5429, 5430, 5431, 5432, 5433, 5434, 5435, 5438, 5439, 5440, 5441, 5442, 5443, 5444, 5445, 5446, 5448.



ათენში 1896 წელს ავეროფის სახელობის მარმარილოს სტადიონზე გამართულ I ოლიმპიურ თამაშებში აშკარად გამოიხატა ამერიკელი უპირატესობა, რაც თორმეტიდან ცხრა ოქროს მედალამდე აიხსნა. მათ ერთი პირველი ადგილი ოლიმპიადზე ლამის შემთხვევით მოხვედრილმა ავსტრალიელმა თომას ბლეკმა არ დაუთმო, ერთი გამარჯვება კი მასპინძელმა სპიროს ლუისმა მოიპოვა, მაგრამ სწორედ ის ერთადერთი გამარჯვება იყო მთავარი, რომელმაც ეს ბერძენი ფოსტალიონი ეროვნულ და ათენის ოლიმპიადის უდიდეს გმირად აქცია.

სპიროს ლუისმა ამ გამარჯვების მართონულ რბენაში მიაღწია. ამ სახეობაში შეჯიბრება თანამედროვე I ოლიმპიური თამაშების უმთავრესი მოვლენა იყო. ბერძნულმა პრესამ ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე მართონულ რბენას საერთო ეროვნული მასშტაბის მოვლენა უწოდა.

მართონული რბენის მოწყობის იდეა ფრანგ ფილოლოგს, აკადემიკოს მიშელ ბრეალს ეკუთვნოდა. მან როგორც კი შეიტყო, პარიზის კონგრესზე ანტიკური ოლიმპიური თამაშების აღორძინება გადაწყვიტა, თავის მეგობარ კუბერტენს მისწერა — „თუ ათენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი აღადგენს მართონული ჯარისკაცის ლეგენდარული გმირობის მარშრუტით რბენას და ჩართავს შეჯიბრების პროგრამაში, სიამოვნებით დავაწესებ სპეციალურ ვილდოს გამარჯვებულისთვის.“

კუბერტენმა ეს წერილი უმალ გააცნო ბერძნებს, რომლებმაც ასევე მაშინვე აიტაცეს იდეა. ამან ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, ისე აღანთო მასპინძლები, რომ მართონული რბენის სტარტზე 21 ბერძენ ვაჟთან ერთად ერთი ქალი, სახელად მელიპომენაც გამოცხადდა.

ცხადია, მელიპომენას განაცხადი არ მიიღეს, რაკილა ქალები იმ თამაშებში საერთოდ არ მონაწილეობენ. ეგ კი არა, მძლეოსანი ქალები, ბევრ სხვა სახეობათა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ოლიმპიადზე პირველად 1928 წლიდან გამოჩნდნენ. ქალთა ოლიმპიურ მართონში შეჯიბრება კი მხოლოდ 1984 წელს გაბედეს.



სპიროს ლუისის ეროვნულ სამოსში

# ახალბერძნული ვითი სპიროს ლუისზე

## ...ანუ როგორ მოიგო ფოსტალიონმა მილიონარის ქალი და მილიონი გზითვალ

მსოფლიოში ბევრი სპორტის კაშკაშა ვარსკვლავი იყო, რომელთა სახელები დღეს ბევრს აღარც ახსოვს, ახალგაზრდა თაობის უმრავლესობას კი საერთოდ არც გაუგონია. ამიტომ მათ

დროდადრო გავიხსენებთ რუბრიკით „მივიწყებული სახელები“. დღეს გიამბობთ სპიროს ლუისზე, რომელსაც თანამედროვეობის სპორტსმენებში პირველს მიაგვს უმაღლესი პატივი



მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ფოსტალიონი ავეროფის სტადიონზე

ასე იყო თუ ისე, ათენში მართონული რბენის სტარტზე საბოლოოდ იმ 21 ბერძენთან ერთად უკვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ეღვინ ფლეკაც გამოვიდა, კიდევ ერთი ამერიკელი — არტურ ბლეიკი და ერთიც ფრანგი — ლერმიუზე, რომლებმაც მანამდე 1500 მეტრზე რბენაში შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. მართონულთა სტარტზე დადგა კიდევ ერთი უცხოელი უნგრელი დიულა კელნერი.

გამარჯვებულისთვის საზღაური მეტად დიდი იყო. ჩემპიონს ფინიშთან ოქროს მედალი, მიშელ ბრეალის მიერ დაწესებული ვერცხლის თასი და აღიარება ელოდა, ხოლო თუ ტრიუმფატორი ბერძენი აღმოჩნდებოდა, ყოველივე ამასთან პრიზად შეხვედებოდა თანამემამულე მილიონერისა და ქველმოქმედის ავეროფის ქალიშვილი თავის მილიონ დრაჰმის მზითვებიანად, აგრეთვე ღვინით სავსე კასრი, ერთი წლით უფასო კვების ტალონი, მთელი ცხოვრების განმავლობაში უფასოდ სამოსის შეკერვა, დალაქის მომსახურება, 10 ცენტური შოკოლადი, ათზე მეტი ძროხა და 30 ცხვარი.

მაინც, რით აიხსნებოდა ბერძენთა ასეთი მონდობა და აჟიოტაჟი, რომელიც მით მეტად მატულობდა, რაც უფრო ახლოვდებოდა მართონული შეჯიბრებისთვის დათქმული დღე?

ამაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ ისტორია და მასთან დაკავშირებული ლეგენდა: ...ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490

წელია. საბერძნეთს სპარსელთა ურიცხვი ჯარი შესევია. მომხდურთა პირისპირ სოფელ მართონთან ათენელები დამდგარან. ისინი ამოდ ელიან სპარტელთა დანაპირებ დახმარებას. ბერძენთა 10-ათასიან ჯარს დიდი სტრატეგი მილტიადე მეთაურობს. მთავარსარდალი ბრძოლის ველად მართონის ვიწროვებს არჩევს, სადაც სპარსელთა უთვალავ არმიას სიმრავლის გამო მანევრირება უნდა გაუჭირდეს.

და აი, იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. სპარსელები თანდათან უკან იხევენ, ბოლოს პანიკაში ვარდებიან, ბრძოლის ველიდან უკანმოუხედავად ზღვისკენ გარბიან, თავიანთ ხომალდებზე ერთმანეთს ასვლას აღარ აცდიან და ცოცხლად გადარჩენილნი თავს ამკვარად გაქცევით შევლიან.

ამ დროს ათენში დარჩენილი ქალები, ბავშვები და მოხუცები გულისფანცქალით გასცქერიან პორიზონტს, საიდანაც თანაქალაქელთა გამოჩენის იმედი თითქმის აღარ აქვთ და სპარსელებს უფრო ელიან, რაც დასასრულს ნიშნავს.

მილტიადემ იცის თანამემამულეთა მტანჯველი მოლოდინი, ამიტომ თავისთან უხმობს გამორჩეულად ფეხმარდ მეომარ ფილიპიდეს და უფრო სთხოვს, ვიდრე უბრძანებს ათენში „გადარბენას“ და იქ დიდი გამარჯვების ამბის ჩატანას. ბრძოლით დაღლილი ფილიპიდე უმაღლესი იხსნის აბჯარს და მახვილთან ერთად იქვე მიწაზე დებს, თავად კი სულმოუთქმელად, საშინელ სიცხეში ათენისკენ გარბის...

ურპრიზად, ღვინოც შეეგებეს. ორ გათანულ მართონულ მან ვერ უშველა და გრძობადაკარგული დაეკარგა. ამასთანავე თანდათან დაწინაურდნენ უცხოელი მებრძოლები. ბერძენთა კი მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ. 32-ე კილომეტრზე მთელი 3000 მეტრით დაწინაურდა ლერმიუზე, მაგრამ ამის მერე, სულ მალე გრძობადაკარგული დაეცა. 37-ე კილომეტრზე მისი ბედი გაიზიარა მრისხანე ფლეკაც, ლიდერობა კი თანდათან ხელთ იგდო სპიროს ლუისმა.

როცა ბერძენის დაწინაურების ამბავი მეფეს ამცნეს, ეს სასიხარულო ცნობა ზარბაზნის დაქუხებითაც აღნიშნეს.

ბერძენთა გასახარად სპიროს ლუისმა გაიმარჯვა (2:58.50,0). მეტიც, ფინიშთან მეორეც მათი თანამემამულე ზარიდაოს ვასილისკასი იყო (3:06.03,0) და მესამეც, თუმცა, ის მესამე ველაკასი, შეჯიბრებიდან წესის დარღვევის გამო მოხსნეს და მისი ადგილი უნგრელმა კელნერმა დაიკავა, რომელიც ფინიშთან მეოთხე იყო (3:06.35,0).

სპიროს ლუისის გამარჯვებას ბერძენთა ერთ აუწყრელი სიხარული მოჰყვა, იგი ეროვნულ გმირად შერაცხეს მას ავეროფის სახელობის სტადიონზე აღტაცებული 80 ათასი კაცი ყოყინით შეეგება. სპიროს ლუისის ტრიუმფის თვითმხილველი ყოველივე ამას ასე აღწერს — „გამარჯვებულის, I ოლიმპიური თამაშების გმირის ფერხითი ათასობით ყვავილი და საჩუქარი დაიყარა. ცაში აიჭრა ათასობით მტრედი, რომლებიც ბერძნული დროშის ფერის ლენტებს მათურიალებდნენ. ხალხი სარბილზე გადმოეშვა, ჩემპიონი ხელში აიტაცა და მისი ბურთაობა დაიწყო. ჩემპიონი მათი ხელიდან დაიხსნა საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა და მისმა მამამ, რომლებმაც ლუისი სამეფო ლოფისკენ წაიყვანეს და იქ უწყვეტი ოვაციის თანხლებით მეფემ გლეხი გულში ჩაიკრა.“

სპიროს ლუისი ეროვნული გმირი გახდა. ის იყო თანამედროვეობის პირველი სპორტსმენი, რომელსაც ყველაზე მაღალი პატივი მიაგეს.

მაგრამ, საინტერესოა, მისცა თუ არა ავეროფმა თავისი ქალი და მილიონი უბრალო ფოსტალიონს?

ისტორიკოსებს დაავიწყდათ ამ ზღაპრის დასასრულის მოყოლა...

### ავთანდილ ბუზასაშვილი



მიშელ ბრეალის თასი ალბათ იმ ღვინით სავსე კასრიდანაც შეივსო



გუშინ დაკრძალეს ზურაბ საკანდელიძე, ყველაზე ტიტულოვანი ქართველი კალათბურთელი, ყველაფრის ჩემპიონი იმ დროის მსოფლიოში, როცა ის ახალგაზრდა იყო.

თუმცა, ტიტულებშიც არ არის საქმე. ზურაბ საკანდელიძე იყო ძალიან მაგარი კალათბურთელი. სწორედ ასე უბრალოდ, სახალხოდ თქმა სჯობს: ძალიან მაგარი იყო.

მისი სიმაგრე ბუნებრივი იყო: ყოველთვის, რასაც ის კალათბურთის სათამაშოდ იყენებდა, ბუნებას მიეცა მისთვის. აზოვანი, ზორბა, მოქნილი, მოუღლეელი და ზუსტი. ეს ყველაფერი, მას, არა მხოლოდ როგორც მოთამაშეს, არამედ როგორც ადამიანს, ბიჭობიდანვე გააჩნდა. და ეს ყველაფერი იყო სრულიად საკმარისი, რომ ის ძალიან მაგარი ყოფილიყო. ის წარმოუდგენელი სიმკვეთრით აჩნდა კალათბურთის მოედნებს: მისით თამაში ერთი იყო, უმისოდ სულ სხვა. მისი დამარცხება მოედანზე, მისი შეჩერება, მისი დაღლა, მისი გულის გატეხვა წარმოუდგენელი იყო. ეს სპორტმა ვერ მოახერხა, ცხოვრებამ მოახერხა.

ზურაბ საკანდელიძე ჰაერში, ბურთით ხელისგულზე, ღონიერი და მოქნილი სხეული საღვაც მადლა: აი, წამი რომელიც ემახსოვრება ყველას, ვინაც კი ერთხელ მაინც უნახავს მისი საოცარი თამაში.

საქართველო ეგვიპტეში  
დაკრძალეს ქალაქში  
კალათბურთელ  
ზურაბ საკანდელიძეს



ზურაბ საკანდელიძის დაკრძალვა

რაზმი

# ლეონსიო საფრანგეთიდან გვაგზავნის მწერტნალებს ბყაათ, შერკინებას...

ერთა თასის დაწყებამდე დასათვლელი აჯროებიც აღარ რჩება. საქართველოს ნაკრები 15 თებერვალს იმ პორტუგალიას უმასპინძლებს, ვისთანაც შარშან მოულოდნელად დამარცხდა. მაშინდელი წარუმატებლობის მიზეზად შერკინებაში მიღებული ჯარიმები სახელდება. მომავალი მატჩის წინ ბორჯღალოსნებს რამდენიმე გამოცდილი მორაგბე გამოაყლდათ და მათი უმრავლესობა სწორედ შერკინების ხალხია. ვანო ნადირაძის, ვიტორ დიდებულისა და გია ლაბაძის გადამწყვეტილების შესახებ ახლახან გაცნობეთ. გუშინ კი საფრანგეთში ერთ დროს ნაკრების გამწვანებელი მიჩნეულ ლევან ცაბაძეს შევეხმიანეთ და მისგანაც იგივე მოვისმინეთ



— სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განცხადება პირველმა მე გააკეთე, ასე რომ, შეგიძლიათ, წასულთა სიაში მეც მიგულისხმონ.

— როდის მიიღე საბოლოო გადაწყვეტილება?

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. მანამდე კი კარგა ხანს ვფიქრობდი. დამიჯერეთ, ძალიან ძნელი იყო ჩემთვის, მაგრამ მგონი, სწორად მოვიქეცი.

— ძირითადი მიზეზი ის იყო, საავსტრალიო განაცხადში რომ ვერ მოხვდი?

— თუნდაც ეგ, თუმცა არა მარტო. ბევრი სხვა რამეც მოხდა გულდასაწყვეტი, რომელთა გახსენებაც აღარ მინდა.

— ნადირაძისა და დიდებულისგან განსხვავებით, ლაბაძემ მხოლოდ დროებით დატოვა ნაკრები. ამაზეც ხომ არ ვიფიქრია?

— ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. საქართველოს ნაკრებს დავემშვიდობე, თუმც

რაც არ უნდა შეუვალი ვიყო, გარკვეული დროის შემდეგ, თუ გუნდს ძალიან დაგვირდი, ერთი-ორი თამაშით შეიძლება შევეშველო. იმედია, ეს საჭირო აღარ გახდება.

— გარკვეული დროის შემდეგ, თქვი უფრო კონკრეტულად?

— მინიმუმ ერთი წელი გამოირიცხულია. ალბათ შემდეგაც, თუმცა თუ ძალიან გაუჭირდათ...

— თბილისიდან თუ გეზიანებიან, რათა გადაწყვეტილება შეგაცვლინონ?

— პირადად ბიძინა გეგიძესთან არ მილაპარაკია, მაგრამ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობიდან ბევრჯერ მთხოვეს. მიუხედავად ამისა, ჩემი სიტყვა მაინც საბოლოოა.

— რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებში გეგიძემ და ანთაძემ 14-14 ხმა მოაგროვეს და პრეზიდენტად გეგიძე დარჩა. შენი აზრით, ქართული რაგბისთვის ასე ჯობდა?

— სიმართლე გითხრა, არც ვიცი, ოპოზიციაში ვინ იყვნენ. ერთადერთი, რაც ამ წუთში შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ბიძინა გეგიძე მსოფლიოს რაგბის ფედერაციაში მიღებული კაცია. 7-8 წლის განმავლობაში გამოცდილების მიღებაც მოასწრო და ამის ერთი ხელის მოსმით დაკარგვა არ შეიძლება. უკეთესი იქნება, თუნდაც ცოტა ხნით გვერდიგვევრდ და დავნენ და ქართული რაგბის განვითარების საქმე ერთად აკეთონ.

— მაშასადამე გეგიძის წასვლა ჩვენს რაგბიზე ცუდად იმოქმედებდა?

— აქედან მართლა ძნელია ლაპარაკი, მაგრამ მთავარი, რაც გეგიძეს გეგმაში ჰქონდა შეტანილი, შესრულდა. საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა. რა თქმა უნდა, მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს მომავლის საქმეა, ოღონდ ურთიერთდაპირისპირებები უნდა დავივიწყოთ.

— ერთა თასის დაწყებამდე ოცი დღეა რჩება. ჩვენი ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებ?

— უკვე რვა თვეა, გუნდში აღარ მითამაშია და პროგნოზის გაკეთებაც მიჭირს.

— ძველი გვარდიის წასვლა ნაკრებს უკან არ დახვეს?

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ გამოცდილი მოთამაშეები მაინც ბლომად რჩებიან. ახალგაზრდა თოთბაც საკმაოდ ძლიერი ჩანს. ერთად დგომით ნებისმიერი პრობლემა მალევე გამოსწორდება.

— პირველი თამაში იმ პორტუგალიასთან გააკვს, შარშან შერკინების ხარჯზე რომ მოგვივო. კარიერადასრულებულთა უმეტესობა კი სწორედ ამ ამპლიუსაა...

— იმ თამაშში მე მონაწილეობა არ მიმიძლია, თუმცა ვიცი, რომ რამდენიმე ტაქტიკურმა შეცდომამ წაგვაგებინა. არა მგონია, ისეთი ძლიერი შერკინება ჰყავდეთ, თუნდაც შეთხლებულ შემადგენლობას სერიოზული პრობლემები შეუქმნან.


— ნაკრებში ქართველი თავკაცების მოსვლაზე რას იტყვი?

— ჩემი აზრით, სორელი ქართველებს ადრევე უნდა შეეცვალათ. რა თქმა უნდა, უცხოელი სპეციალისტის დახმარებაც საჭიროა, მაგრამ ახალი მწვრთნელების შესაძლებლობების მაინც მჯერა. სამივეს პირადად ვიცნობ, ვიცი მათი სარაგბო ხელება. მერე რა, რომ მათი სარაგბო არენაზე გამოცდილება აკლიათ. ეს დროის ამბავია, მთავარია, კარგად ესმით რაგბი. თუ ხელს შეუწყობენ, მჯერა, ძლიერ ნაკრებს გააკეთებენ.

— ბოლოს ფრანგულ ამბებსაც გკითხავ, როგორაა კლუბში საქმეები?

— მშვენიერად. მართალია, შიდა ჩემპიონატში დიდი წარმატებებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ სამაგიეროდ, ევროპის თასის ნახევარფინალამდე თითქმის აღარაფერი გვაკლია. ლონდონურ „სარასენსთან“ ერთი თამაში დავკრჩა და თუ 16 ქულაზე მეტით არ წავაგეთ, საგზური ჩვენი იქნება.

ოთარ გელაგელიძე





**ავსტრალიის ღია პირველობა 2004**

მელბურნი. კარლი. სპრიზო 14,6 მილიონი \$

**მარატის რეკორდია რუსმა ძია სემს ახყინინა**



მარატ საფინში მეოთხე ამერიკელი იმსხვერპლა

**ნახევარფინალი**

**პაცები**

მარატ სპრინგი (რუსეთი) — ანდრე აგასი (4, აშშ) 7:6 (8:6), 7:6 (8:6), 5:7, 1:6, 6:3

**ქალები**

შუსტინი ნენე-ბრედი (1, ბელგია) — ფაბიოლა სულუგა (32, კოლუმბია) 6:2, 6:2; პირ კლანტინი (2, ბელგია) — პატი შნიდერი (22, შვეიცარია) 6:2, 7:6 (7:2)

ერთი წლის განმავლობაში გაურჯელი და აღდნად ჯანთან ერთად მოტივაციადგროვებული მარატ საფინის გაჩერება გუშინ ვერც თავისი მეხუთე მელბურნული ტიტულის მაძიებელმა ანდრე აგასიმ მოახერხა.

მართალია, 33 წლის არმენომერიკელი კვლავაც რიგან ფორმაშია და მრავალზე ბრძნულ, დახვეწილ ჩოგბურთს თამაშობს, მაგრამ ასეთი მატჩების მოსაგები მკვლელი ინსტინქტი ჩანს, უკვე შესამჩნევად მოსჩლუნგებია.

აბა, სხვა რით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ მეორე სეტის დასაწყისში საფინისთვის წართმეული გეიმი სეტის ბოლოს უბრძოლველად დააბრუნა, ანაც ის, რომ კაცურად ამოქაჩული მესამე და მეოთხე სეტების მერე უკვე ფეხბურთის მატჩებს გადაწყვეტილ დარტყმით ბოლო ვერ მოუღო და ისევ გაღმა გამოაღებინა.

ისეთ ნიჭიერ მუტრუკთან, როგორც 24 წლის რუსთათარია, სადავეთა ასეთი წამიერი მოშვება სახიფათო და სასიკვდილოა. შტეფი გრაფის ქმარს გუშინ სწორედ ეს დაემართა.

ისე კი, ვინ იცის, საერთოდ იყო ვინმე გუშინ ასე ბარაქიანად მობრახუნე და ჯამში 33 ეისის მიმოვლელი საფინის მომგები?!

პასუხს ამ კითხვაზე ნაწილობრივ ალბათ დღევანდელი ნახევარფინალი გაგვიცემს, რომელშიც როჯერ ფედერერი ხუან კარლოს ფერეროს შეერკინება. თქვენი არ ვიცი და, მე პირადად სწორედ შვეიცარიელის იმედი მაქვს — ის საფინზე უფრო მრავალფეროვანი მეჩოგნეა.

სხვაფრივ — ბრაიან ვაალის, ტომ მარტინის, ვენის ბლეიკისა და ენდი როდიკის შემდეგ ანდრე აგასი მეხუთე ამერიკელი იყო, ვინაც მარატ საფინში ამ მელბურნობაზე დააფუძვრა.

თავად ჯადო ანდრე კი იქ უკვე 1999 წლის შემდეგ აღარ დამარცხებულა და ისე გამოვიდა, რომ გუშინ 26-მოგებიანი მელბურნული სერია შეუწყდა.

სიტყვები არ მყოფნის ჩემი გრძნობების გამოსახატავად, ამბობდა ნამატჩევს ოფრაცი სკეითი, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ორი წლის წინაც ითამაშა და სრულიად მოულოდნელად შვედი ტომას იაჰანსონისგან იძლია.

ის ჯოჯოხეთური მეჩოგნეაო, ასე აქებდა საფინი გუშინ აგასის — მისი დამარცხება უდიდესი მიღწევაა და წარმოდგენა არა მაქვს, ამის გაკეთება როგორ მოვახერხებო.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ისინი ერთმანეთს გუშინ მეხუთედ შეხვდნენ და მათი წინა შეხვეტიდან სამი ამერიკელს მოევო.

რაც შეეხება ქალთა მხარეს, აქ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ვერაულოდით კიდევ — ვერც კოლუმბიელი სულუგა გამოდგა ჟუსტინ ენინის ტოლსწორად და ვერც პატი შნიდერი — კლაისტერისა. თუმცა, კიშს კოჭმტკივანობისა და აქედან გამომდინარე ოდნავი თავდაუგერებლობის გამო მას გუშინ ჟუსტინზე ოთხი გეიმიტა და ერთი ტაბრეკით მეტი თამაში მოუხდა.

სხვათა შორის, თუკი ჭინკა ჟუსტინს მათი მორიგი სლემფინალის წინ რაიმე ფავორიტად მიგვაჩნევენებს, ეგ — ყველაფერთან ერთად — სწორედ კიშის ნატკენი კოჭი და მისი ოდნავ მოყანყალე ფორმაა. ამ „ყველაფერში“ კი უწინარესად იმას ვგულისხმობთ, რომ ჟუსტინმა კიშს შარშან ორსავე სლემფინალში — პარიზულშიც და ნიუიორკულშიც დაჯგაბნა და თავს ახლა საოცრად მტკიცედ, გაწონასწორებულად და დაჯერებულად გრძნობს.

მათ პირად ბრძოლაში კი ჯერ-ჯერობით ისევ ლეიტონის გოგო 9:8 ლიდერობს და მის ქომავებს, რომელთა რიცხვშიც — ჰიუიტის ხათრით — მრავალი ოზიცაა, მაგ ამბისაც ეიმედებათ.

ისეთი პატარა ქვეწინისთვის, როგორც ბელგიაა, ეს დაუჯერებელი მიღწევააო, ამბობდა შნიდერთან გამარჯვების შემდეგ კლაისტერისი. ჟუსტინთან გასამართი ფინალის შესახებ კი იმ აზრისა იყო, რომ წინა შეხვედრები და ამჟამინდელი სარეიტინგო განლაგება ამ მატჩზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ იქონიებსო.

მის ამ აზრს ჟუსტინიც ეთანხმებოდა — აქაოდა, ფავორიტს ტყუილად ნუ მიწოდებთო. „იმის გამოცნობა, თუ რა მოხდება ფინალში, შეუძლებელია — ამბობდა ჭინკა — ჩვენ აქამდეც ბევრი დიდი მატჩი გაგვიმართავს და იმედია, ახლაც რამე განსაკუთრებული იქნება. კიში ძალიან დიდი მეჩოგნეა და მის ძალას ნურავინ დააკნინებს.“

**ლევან კელაშაძე**



კიშ კლაისტერისმა ფინალში, რა თქმა უნდა, შეაღწა

**ევროპის VI ჩემპიონატი. ვაშბაი**

სლოვენია. 22 იანვარი-1 თებერვალი



ჩენატო სულიჩა და მისმა ხორვატიამ ალექსანდრ ტუჩინის (ბურთით) რუსეთი ნახევარფინალში არ გაუშვეს

პირველი ჯგუფი	მეორე ჯგუფი
დანია 34:20 შვიციბარია	სარვათი 37:30 ჩახეთი
შვიციბარია 29:28 ისაბანეთი	გერმანია 28:23 უნგარი
რუსეთი 24:24 ხორვატია	სლოვენია 27:22 საფრანგეთი

პირველი ჯგუფი	მეორე ჯგუფი
სორვატია 4 1 0 138:131 9	გერმანია 3 1 1 151:131 7
დანია 4 0 1 153:125 8	სლოვენია 3 1 1 144:135 7
რუსეთი 3 1 1 149:157 7	საფრანგეთი 2 1 2 134:129 5
შვედეთი 2 0 3 145:144 4	სერბეთი 2 1 2 134:135 5
ესპანეთი 1 0 4 133:143 2	უნგრეთი 1 2 2 132:140 4
შვეიცარია 0 0 5 115:153 0	ჩეხეთი 1 0 4 147:172 2

**ნახევარფინალი**

სორვატია — სლოვენია — გერმანია — დანია

**ჰოკეი**

**რეგულარული ჩემპიონატი**

28 იანვარი

**ჩინეზი 1:2 ვაშინგტონი**  
0:1 0:1 1:0  
0:1 ჰელენი (10), 0:2 უიტფილი (25), 1:2 რუინსკი (46)

მატჩის 31-ე წუთზე ვაშინგტონელმა ჯეისონ დოიგმა „რინგერის“ ლიდერი ერიკ ლინდროსი სუფთა ძლისმიერი ილეთით ბორტს მაჭყლიტა. რა გასაკვირია და, ლინდროსს ეს არ მოეწონა, როგორც კი თამაში განახლდა, შეეცადა, მისთვის სამაგიერო გადაეხდა. რამდენიმე ჰუკის გაცვლის შემდეგ ორივემ ხუთწუთიან ჯარიმას გამოჰკრა ხელი. როცა სასკელი მოიხდა, ლინდროსმა სკადა ყინულზე გასვლა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, თვალბეში ვარსკლავები აუკიაფდა. ეს იყო და ეს, ერიკი მოედანზე ველარ დაბრუნდა.

ოდელაც უენ გრეცკისა და მაროი ლემიუს მემკვიდრედ შერაცხული ჰოკეისტისთვის ეს თამაში ეგებ ბოლოც იყო. მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ ლინდროსმა რიგით მერვე (!) ტენის შერყევა მიიღო. გუნდის ექიმები ჯერჯერობით დასკვნებს არ აკეთებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე სერიოზულადაა.


**კალაპოპოლი**

**ევროლიგა**


B ჯგუფი	C ჯგუფი
შალგირისი 89:81 უნიკახა	ვილარბანი 74:87 პანელონი
სინინა 82:55 კრკა	იუვისი 61:52 ოლიმპიკოსი
მაპაპი 89:99 სპიპირი	ტაუ 94:81 ალვა
	პამესა 102:73 შლიონსკი

# დაბის კოტრიკალი

ავსტრიულ შლადმინგში ასეთი უხერხული კოტრიკალით ზეიმობს იტალიელი მანფრედ მეგი, ვისაც დაბის სლალომში მეორე ადგილი დაუჭერია. პირველი კი ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი შექნილა, ხოლო მესამე ფინელი კალე პალანდერი



REUTERS შლადმინგიდან




REUTERS ფილადელფიიდან

## მეუფიდასა

ჯონ ჩენი ღვაწლმოსილი კაცია სტუდენტურ კალათბურთში. ეს ლამაზი ბურთი მას თავისი უნივერსიტეტის, ტემპლის მოთამაშეებმა მიუძღვნეს საჩუქრად მას შემდეგ, რაც სწორედ ამ ბურთით დაამარცხეს სენტ ბონავენტურის უნივერსიტეტის გუნდი. ეს მოგება მწვრთნელისთვის მემფიდასე გამოდგა კარიერაში და, ცხადია, განსაკუთრებულადაც აღინიშნა

## სუპერბოულის წინ



REUTERS მიუსტონიდან

ჰიუსტონი დიდი ამბით ელოდება ამერიკული ბურთობის XXXVIII სუპერბოულს. წინარე ფესტივალი უკვე დაწყებულია და ბიჭუნებიც დიდი სიამოვნებით ირგებენ ვარსკვლავთა ნამდვილ სამოსს. 1 თებერვალს კი სუპერბოულში ერთმანეთს შეეჯახებიან ამერიკის ჩემპიონი „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი“ და ერთგვნი ჩემპიონი „კაროლინა პანტერზი“



REUTERS ბარსელონა

## ბურთი ბასრაში

ბასრაში ფეხბურთი გახურდა: „მილანისა“ და „არსენალის“ სამოსში გამოწყობილმა ბრიტმა ჯარისკაცებმა და ერაყელმა პოლიციელებმა ერთმანეთს გვარიანი ოფლი ადინეს. მოგებით მასპინძლებმა მოიგეს, 5:1

**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის ორშაბათს,  
სამშაბათს, ოთხშაბათს,  
ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოცხვირაძე  
დირექტორი გიორგი ოქროშაძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი  
ჭარბული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ვრამი, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაუაძე, ოთარ მდლაკელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენავაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალიშვილი, მავდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზბაგის გამზირი 42, II  
ქორაპუსი, IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი — 79, საზოგადოებრივი  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieri@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieri.com.ge>